



მინი აბუხი

ჰოლანდიური ქარის წისქვილი



მოგესალმებით
მინი აგურის
მინი სამუაროში!

ნარმობიღენთ ინსტრუქციას „ჰოლანდიური ქარის წისქვილი“ მაკეტიწათვის

1- ეტაპი. **სამშენებლო მოედნის მოწყობა**- ამოიღეთ სამშენებლო მოედანი ყუთიდან და მოათავსეთ ჰორიზონტალურ ზედაპირზე.

2-ეტაპი. **ცემენტის მასის მომზადება** - თქვენს „ჰოლანდიური ქარის წისქვილი“ მაკეტს მოყვება 1 მინიტომარა ცემენტი (თაბაშირი) და 1 ტუბი საბავშვო წებო. გახსენით ცემენტის ტომარა, ჩაყარეთ მოსაზელ ჭურჭელში 2 ქაფჩა ცემენტი, დაასხით ცემენტს დაახლოებით იგივე რაოდენობის საბავშვო წებო და მოურიეთ. გაითვალისწინეთ, რომ მოზელილი მასა არ უნდა გაგითხელდეთ და ამავდროულად არ უნდა იყოს ძალიან სქელი, მიღებული მასა უნდა იყოს ბლანტი, ამიტომ წებოს დასხმის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე. თავიდან წებო უნდა დაასხათ ძალიან ცოტა რაოდენობის და მოზელის (მორევის) პროცესში უნდა ამატოთ, როდესაც მიიღებთ ერთგვარ ბლანტ მასას ე.ი. ცემენტის მასა მზადაა გამოსაყენებლად. გაითვალისწინეთ ცემენტის მასა გამრება 30-40 წუთის განმავლობაში, შრობა დამოკიდებულია ოთანის ტემპერატურაზე და ტენიანობაზე. ბლოკის (აფურის) დაშენების პროცესი ხორციელდება ჩვეულებრივი სამშენებლო წესების დაცვით, მოზელილი ცემენტის მასა ქაფჩით უნდა დაიტანოთ ბლოკის (აფურის) ნასვრეტებიან მხარეს და მოათავსოთ ზედაპირზე. 2-3 რიგის დაშენების შემდეგ 15-20 წუთი უნდა დაელოდოთ შრობას და ამის შემდეგ გააგრძელოთ შემდეგი რიგების დაშენება. გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული დროები არ არის ცემენტის შრობის სრული დრო, ამიტომ დასრულებულ ნაგებობას გარკვეული პერიოდის (24 საათი) განმავლობაში უნდა მოეპყროთ სიფრთხილით.



3- ეტაპი.

წისქვილის შენების დროს დაიცავით სურათზე მოცემული ბლოკებისა და კარის განლაგების სქემა.



მესამე რიგის დაშენების შემდეგ ფანჯრები მოათავსეთ მოცემული სურათის მიხედვით და გააგრძელეთ დარჩენილი ბლოკების დალაგება



მეხუთე რიგის დაშენების შემდეგ პატარა ფანჯარა მოათავსეთ მოცემული სურათის მიხედვით და გააგრძელეთ დარჩენილი ორი რიგი ბლოკის დალაგება



ბლოკების დალაგების შემდეგ ააწყვეთ სახურავი და მოათავსეთ
შენობაზე



დასრულებულ შენობას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახე



გისურვებთ წარმატებას!